



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის**

**ოქმი N14**

ქ. ლანჩხუთი

27. 09. 2019 წელი

**საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი კახა ბოლქვაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია „ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მია კუპატაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:** მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ბიძინა იმნაიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

გიორგი ნაჭყებია, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსი ალექო კირვალიძე, მედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე ვლადიმერ ნანაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საკრებულოს თავმჯდომარე, ბესიკ ტაბიძე იმყოფება მივლინებაში, რის გამოც დღეს საკრებულოს სხდომას თავად წარუძღვება, მიულოცა მათ ჯვართამაღლების დღესასწაული და მოუწოდა წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ სოხუმის დაცემის დღეს დაღუპული გმირების ხსოვნისთვის.

**სხდომის თავმჯდომარემ ვლადიმერ ნანაძემ, სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დადგენილების დამტკიცების შესახებ.

*/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/*

2. „გრიგოლეთისა და ყვავილნარის განაშენიანების გეგმის შემუშავების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი ალექო კირვალიძე/*

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი ალექო კირვალიძე/*

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

*/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/*

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18

განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

6. „სოფელ გრიგოლეთის მდგრადი განვითარების სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ამირან გიგინეიშვილი/

7.სხვადასხვა საკითხები.

**სხდომის თავმჯდომარემ ვლადიმერ ნანაძემ, კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი ოთარ პატიშვილი.

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სახდომას გააცნო მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან განმარტა, რომ პროექტი მომზადებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალების პარკირების ადგილისათვის განსაზღვრული საცნობი ნიშნის ფორმის დამტკიცებისა და საცნობი ნიშნის ფორმის გაცემის პროცედურების სრულყოფის მიზნით. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას და მასში შედის შემდეგი სახის ცვლილება, კერძოდ:

დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.

1. დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების- ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესები დანართი N1-ის შესაბამისად. 2. დადგინდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალების პარკირების ადგილისათვის განსაზღვრული საცნობი ნიშნის ფორმა დანართი N2-ის შესაბამისად.“

დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2.

2020 წლის 1 მარტამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს პარკირების ორგანიზებისთვის შესაბამისი გარემოს შექმნა“ .

დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი

ნორმების ავტომატური პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომატური პარკირების წესების“ :

ა) მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. პარკირების ორგანიზება:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია პარკირების ორგანიზება მთლიანად ან ნაწილობრივ განახორციელოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მეშვეობით, წინამდებარე წესის შესაბამისად. 2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პარკირების ორგანიზება გულისხმობს: ა) პარკირების საერთო და სპეციალური ადგილების განსაზღვრის, პარკირების საერთო ადგილებზე ავტომატური პარკირების დგომის წესების დადგენას ( მართობული დგომა, 90 გრადუსიანი დგომა ან/და 45 გრადუსიანი დგომა); ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე ავტომატური პარკირების მთლიანად ან ნაწილობრივ შეზღუდვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას; გ) პარკირების სპეციალურ ადგილებზე ცალკეული ავტომატური პარკირებისათვის გარკვეული მოთხოვნების შემუშავებას და საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარდგენას; დ) პარკირების ადგილების შესაბამისი საცნობარო და საინფორმაციო ნიშნებით აღჭურვას, პარკირების ადგილებზე სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვის უზრუნველყოფას; ე) საქართველოს კანონმდებლობითა და წინამდებარე წესით გათვალისწინებული სხვა უფლება- მოვალეობების განხორციელებას. 3. ფიზიკური თუ იურიდიული პირების ან/და კერძო სამართლის სხვა სუბიექტების საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე პარკირების ორგანიზება გულისხმობს: ა) პარკირების ადგილების მიზნობრივად გამოყენების უზრუნველყოფას; ბ) პარკირების ადგილების საცნობარო და საინფორმაციო ნიშნებით აღჭურვას; გ) პარკირების ადგილებზე სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვის უზრუნველყოფას; დ) პარკირების ადგილებზე ავტომატური პარკირების დგომის წესების დაცვაზე კონტროლის დაწესებას; ე) პარკირების ადგილების მოწყობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობის წერილით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულებას; ვ) წინამდებარე წესის მოთხოვნების სრულად შესრულებას.“

ბ) მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. პარკირების ორგანიზების უფლების გადაცემა:

1. პარკირების ორგანიზების უფლება პირდაპირი წესით, უსასყიდლოდ გადაეცემათ: ა) სახელმწიფო ან/და ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებს, მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე; ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს ან/და იურიდიულ პირებს, რომლის 50%-ზე მეტი წილის მფლობელი არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე; გ) სახელმწიფოს მიერ მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს ან/და იურიდიულ პირებს, რომლის 50%-ზე მეტი წილის მფლობელი არის სახელმწიფო, მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე; დ) ავტონომიური რესპუბლიკების მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს ან/და იურიდიულ პირებს, რომლის 50%-ზე მეტი წილის მფლობელია ავტონომიური რესპუბლიკები, მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე; ე) დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე; ვ) საერთაშორისო ორგანიზაციებს და მისიებს, მხოლოდ სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე. 2. პარკირების ორგანიზების უფლების უსასყიდლოდ გადაცემის მოთხოვნასთან ერთად ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენენ პარკირების ადგილების მოწყობის ესკიზურ პროექტს, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს პარკირების ადგილების კეთილმოწყობისა და პარკირების ადგილებზე ავტომატური პარკირების დგომის წესებს (მართობული დგომა, 45- გრადუსიანი

დგომა, 90-გრადუსიანი დგომა), თუ პარკირების ადგილებისათვის, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, უკვე დადგენილი არ არის აღნიშნული წესები ან/და მიზანშეწონილია ავტომანქანების დგომის უკვე დადგენილი წესებისაგან განსხვავებული წესების დადგენა. 3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირები ვალდებული არიან პარკირებისათვის გადაცემული ადგილების, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შეთანხმებული ესკიზური პროექტის შესაბამისად კეთილმოწყობა განახორციელონ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ თანხმობის წერილით დაწესებულ ვადაში. 4. დაუშვებელია უსასყიდლოდ გადაცემულ იქნეს პარკირების სპეციალური ადგილების ორგანიზების უფლება. 5. პარკირების ორგანიზების უფლების უსასყიდლოდ გადაცემისას, პარკირების ადგილებით სარგებლობისათვის, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, აკრძალულია რაიმე სახის საფასურის დაწესება. 6. პარკირების ორგანიზების უფლების უსასყიდლოდ გადაცემისას, პარკირების ადგილები, რომელსაც მოიცავს პარკირების ორგანიზების უფლება, აკრძალულია გამოყენებულ იქნეს პარკირების სპეციალურ ადგილებად.“

გ) მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე ავტომანქანების პარკირების მთლიანად ან ნაწილობრივ შეზღუდვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

დ) მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დგომა/გაჩერების წესი:

1. აკრძალულია ადმინისტრაციული შენობის წინ მდებარე პირველ და მეორე ზოლში ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დგომა/გაჩერება ხუთ წუთზე მეტი დროით, თუ ეს არ ეხება მგზავრთა ჩასხდომა- გადმოსხდომას. 2. ადმინისტრაციული შენობის წინ მდებარე პირველ ზოლში ნებადართულ იქნეს მხოლოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის, მერის პირველი მოადგილის/მოადგილის, საკრებულოს თავმჯდომარის და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დგომა/გაჩერება. 3. ადმინისტრაციული შენობის წინ მდებარე მეორე ზოლში ნებადართულია მხოლოდ მერიის/საკრებულოს თანამშრომელთა და საკრებულოს წევრთა საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დგომა/გაჩერება. 4. აღნიშნულ ზოლებში დგომა/გაჩერების უფლების მქონე ავტომობილებზე გაიცემა დადგენილი ნიმუშის საშვი.“

ე) მე-16 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 16. საცნობი ნიშნის გაცემა:

1. საცნობი ნიშნის მისაღებად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს მერიას და მას დაურთოს „სამედიცინო- სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის N64/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი 2- ით განსაზღვრული ფორმა NIV-50/2ის შესაბამისად გაცემული პირის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი ცნობა ან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა სახელმწიფო გასაცემლების მიმღებთა საადრიცხვო ბაზაში რეგისტრირებულ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის შესახებ. მერია უფლებამოსილია დამატებით მოითხოვოს გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ნებისმიერი სხვა დოკუმენტი.

2. საცნობი ნიშნის მისაღებად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები

არასრულწლოვანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს მერიას და მას დაურთოს „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის №64/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი 2-ით განსაზღვრული ფორმა NIV-50/2-ის შესაბამისად გაცემული პირის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი ცნობა ან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა სახელმწიფო გასაცემლების მიმღებთა სააღრიცხვო ბაზაში რეგისტრირებულ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის შესახებ, დაბადების მოწმობის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი, კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი. მერია უფლებამოსილია დამატებით მოითხოვოს გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ნებისმიერი სხვა დოკუმენტი. 3. საცნობი ნიშნის მისაღებად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია წერილობითი ფორმით მიმართოს მერიას და მას დაურთოს „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის N64/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი 2-ით განსაზღვრული ფორმა NIV- 50/2-ის შესაბამისად გაცემული პირის მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი ცნობა ან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა სახელმწიფო გასაცემლების მიმღებთა სააღრიცხვო ბაზაში რეგისტრირებულ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის შესახებ, პირის შეზღუდული ქმედუნარიანობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან დამოწმებული ქსეროასლი, მშობლობის ან კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ქსეროასლი. მერია უფლებამოსილია დამატებით მოითხოვოს გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ნებისმიერი სხვა დოკუმენტი. 4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე გაიცემა ერთი საცნობი ნიშანი. 5. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ფიზიკურ/იურიდიულ პირზე გაიცემა იმ რაოდენობის საცნობი ნიშანი, რამდენი ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალებაც მას აქვს საკუთრებაში. 6. საცნობი ნიშანი გაიცემა უსასყიდლოდ პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად -2 წლის ვადით, მე-2 პუნქტის შესაბამისად- არასრულწლოვანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სრულწლოვანობამდე (ამასთან, საშვის მოქმედების ვადა ყოველ გაცემაზე არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს), ხოლო მე-5 პუნქტის შესაბამისად- სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე იურიდიული პირის რეგისტრაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაუქმებამდე (ამასთან, საშვის მოქმედების ვადა ყოველ გაცემაზე არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს), ან იმგვარი გარემოების დადგომამდე, რომლის არსებობისას საშვი არ გაიცემოდა. 7. საცნობი ნიშანი განთავსებული უნდა იყოს სატრანსპორტო საშუალების წინა საქარე მინაზე, ისე, რომ უფლებამოსილი პირის მიერ შესაძლებელი იყოს მისი ამოკითხვა. 8. საცნობი ნიშანი გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ იმ პირის მიერ ან/და სატრანსპორტო საშუალებისათვის, რომლისთვისაც ის გაიცა. 9. საცნობი ნიშნის მფლობელის მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში წერილობითი ფორმით ახალი საცნობი ნიშნის აღების თაობაზე დასაბუთებული მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში, თუ ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის მერია ჩათვლის საჭიროდ, მფლობელი/არასრულწლოვანი/შეზღუდული კმედუნარიანობის მქონე პირის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია, ამ მუხლის პირველი, მე-2 ან მე-3 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაცია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგინოს ხელახლა, რის შემდეგაც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ახლი საცნობი ნიშანი გაიცემა ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული ვადით. 10. საცნობი ნიშნის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, მფლობელი ვალდებულია შესაბამისი ინფორმაცია დაუყონებლივ მიაწოდოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას. 11. საცნობი ნიშნის დაკარგვისას, მისი აღდგენის თხოვნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას წერილობით მიმართავს საცნობი ნიშნის კანონიერი მფლობელი და აღდგენისთვის. მასვე ეკისრება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე თანხის გადახდის ვალდებულება ათი ლარის ოდენობით. 12. თუ საცნობი ნიშანი ამ წესის შესაბამისად არ იქნება განთავსებული სატრანსპორტო საშუალებაზე და მოხდება ამ სატრანსპორტო საშუალების პარკირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის განსაზღვრულ პარკირების ადგილზე, აღნიშნული შემთხვევა განიხილება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სატრანსპორტო საშუალებისთვის განსაზღვრულ პარკირების ადგილზე არაუფლებამოსილი პირის მიერ სატრანსპორტო საშუალების პარკირებად. 13. პარკირების ოპერატორი ვალდებულია საეჭვო საცნობი ნიშნის დაფიქსირების შემთხვევაში უზრუნველყოს სამართალდამცავი ორგანოებისათვის ინფორმაციის მიწოდება. 14. საცნობი ნიშნის მოქმედება ვადამდე წყდება იმ შემთხვევაში, თუ: ა) საცნობი ნიშანი მიღებულია არასწორი ინფორმაციის წარდგენის საფუძველზე; ბ) საცნობი ნიშნის მფლობელმა საცნობი ნიშანი გადასცა სხვას; გ) სხვა ისეთი გარემოების აღმოჩენის ან გამოვლენისას, რომლის არსებობის შემთხვევაშიც საცნობი ნიშანი არ გაიცემა.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი აკაკი იმნაიშვილი.

საკრებულოს წევრმა ამირან ქანთარია აღნიშნა, რომ პარკირების თემის განხილვა უპრიანი იქნებოდა ქალაქის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის მოწესრიგების შემდეგ. ის ასევე დაინტერესდა, რამდენად შესაძლებელია კვირკველიას ქუჩაზე, კლინიკა „ჯამრთელობის“ მიმდებარედ მისაბმელიანი ავტომობილების დგომა.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე.

მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ განმარტა, რომ ამ ეტაპზე დადგენილება, რომელშიც ცვლილება შედის, მიღებულია 2007 წლის 30 მაისს და უკვე დამტკიცებულ პროექტში შედის ცვლილება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სატრანსპორტო საშუალებისთვის საცნობი ნიშნის ფორმის დამტკიცებისა და საცნობი ნიშნის ფორმის გაცემის პროცედურების სრულყოფის მიზნით.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ ვლადიმერ ნანაძემ, კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 26 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

## მიღებულ იქნა დადგენილება N 15 (27.09.2019)

**დღის წესრიგის მეორე საკითხი:** „გრიგოლეთისა და ყვავილნარის განაშენიანების გეგმის შემუშავების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსმა **ალეკო კირვალიძემ**. მან განმარტა, რომ გრიგოლეთსა და ყვავილნარს არ გააჩნია კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული და დამტკიცებული ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის დოკუმენტაცია. კურორტის განვითარება ხდება არაგეგმიურად და უსისტემოდ, რაც ზღუდავს მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას. დაგეგმვის მიზანია სანიტარული დაცვის ზონებისა და შესაბამისი რეჟიმების დადგენა და მის საფუძველზე მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული, არსებული გამოწვევების შესაბამისი ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავება, სადაც გათვალისწინებული იქნება შემდეგი საკითხები: გეგმარებითი ერთეულის კვლევა, გეგმარებითი ერთეულის განსაზღვრა, განვითარების სტრატეგია, გეგმის კონცეფციის შემადგენლობა, მათი შემუშავების გეგმა-გრაფიკი, საჭიროების შემთხვევაში გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში და სხვა დოკუმენტაციის მომზადება. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის გადაწყვეტილება გრიგოლეთისა და ყვავილნარის სანაპირო ზოლის განაშენიანების გეგმის შემუშავების თაობაზე უნდა შეთანხმდეს საკრებულოსთან.

საკრებულოს წევრი **ამირან გიგინეიშვილი** დაინტერესდა, თუ როგორ უნდა წარიმართოს გეგმაზე მუშაობა, ვინ უნდა იყოს ჩართული ამ პროცესში და როცა გეგმა შემუშავდება, რამდენ ხნის იქნება ეს პროცესი, რადგან ეს სამუშაო ხანგრძლივობის მიხედვით მოითხოვს დაფინანსებას.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსმა **ალეკო კირვალიძემ** განმარტა, რომ ამ ეტაპზე მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური მუშაობს რეგულაციებზე, ხოლო გენერალურ გეგმაზე სამუშაოდ სჭირდებათ თანხმობა.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ ვლადიმერ ნანაძემ, კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 26 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N 51 (27.09.2019)**

**დღის წესრიგის მესამე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსმა **ალეკო კირვალიძემ**. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მომართა მოქალაქე მალხაზ ქამადაძემ, რომელიც აღნიშნავს, რომ თანასაკუთრებაში გააჩნია ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის სოფელ სუფსაში მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.15.46.111 ფართობი 5206 კვ.მ.) აღნიშნულ ტერიტორიაზე დაგეგმილი აქვს სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა და ტერიტორიის ამ მიმართულებით განვითარების მიზნით დაინტერესებული პირი შემოდის ინიციატივით განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 43-ე მუხლის თანახმად თუ ტერიტორიისთვის გენერალური გეგმა არ არსებობს განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილება უნდა შეთანხმდეს იმავე მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 43-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს გადაწყვეტილება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.15.46.111; 5203 კვ.მ. ) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე.

საკრებულოს წევრი **იოსებ ჩხაიძე** დაინტერესდა, თუ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების თაობაზე საჭიროა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემა, აღნიშნული გეგმა მერიამ უნდა შეიმუშაოს?

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსმა **ალეკო კირვალიძემ** განმარტა, რომ კანონის მიხედვით, როცა კერძო პირი შემოდის მსგავსი ინიციატივით, მისი ვალდებულებაა საკუთარი ფინანსებით მოახდინოს მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ ვლადიმერ ნანაძემ, კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი.**

**მომხრე საკრებულოს 26 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N 52 (27.09.2019)**

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ**. მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 21 აგვისტოს N1868 განკარგულებით განხორციელებული ცვლილების შედეგად მუნიციპალიტეტის გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები შემცირდა 22274 ლარით, მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯზე 22009 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე

265 ლარი, მრავალბინიანი სახლების სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები შემცირდა 12731,50 ლარით, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე 12095 ლარი და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე 636,5 ლარი. აღნიშნული ცვლილების შედეგად მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 110151 ლარი ქ.ლანჩხუთში თავისუფლების და ჭანტურიას ქუჩის კვეთაზე სტადიონის რეაბილიტაციისათვის; მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა და ჯანდაცვის სამსახურის მომართვის საფუძველზე უნდა შემცირდეს: მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა 6500 ლარით, ხანდაზმულ (100 და მეტი ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა 500 ლარით, ბიკარბონატული, ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა 3000 ლარით და აღნიშნულის შემცირებების ხარჯზე უნდა გაიზარდოს სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების პროგრამა 10000 ლარით; მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მომართვის საფუძველზე უნდა შემცირდეს ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა (ორგ.კოდი 05 03) 198 ლარით, ასევე უნდა შემცირდეს კულტურულ ღონისძიებათა პროგრამა (ორგ.კოდი 05 02) 5847 ლარით და შემცირების ხარჯზე უნდა გაიზარდოს განათლების ხელშეწყობის პროგრამა (ორგ.კოდი 04 03) 6045 ლარით; შადრევან-აუზების ექსპლოატაცია, რეაბილიტაციის შემცირების ხარჯზე უნდა გაიზარდოს მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლობითი ხარჯი 4000 ლარით; მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის 3000 ლარის შემცირების ხარჯზე უნდა გაიზარდოს შპს ქალთა საფეხბურთო კლუბის ლანჩხუთის „ლანჩხუთი“-ს დაფინანსება 3000 ლარით; მუნიციპალიტეტის მერიის სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯის 3100 ლარის შემცირების ხარჯზე უნდა გაიზარდოს ა(ა)იპ სპორტული ცენტრის დაფინანსება 3100 ლარით სხვა საქონელი და მომსახურების მუხლში. ა(ა)იპ შესპორტული ცენტრის წერილის საფუძველზე შემცირდება შრომის ანაზღაურების მუხლი 18000 ლარით და შემცირების ხარჯზე გაიზარდება საქონელი და მომსახურების მუხლი (შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება) 18000 ლარით; ასევე საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად ბიუჯეტში დამატებით უნდა მიიმართოს 232101 ლარი.

საკრებულოს ფრაქცია „ძალა ერთობაშია“-ს თავმჯდომარემ **კახაბერ ასკურავამ** უკმაყოფილება გამოთქვა იმის თაობაზე, რომ უკვე დიდი ხანია, რაც მოითხოვს დუნდუას და ჟორდანიას სახელობის, ასევე სპორტული ცენტრის მიმდებარედ მდებარე სტადიონების რეაბილიტაციას და ახლა ეს სამუშაოები იგეგმება სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გაკეთებული ეკონომიის ხარჯზე. ის ასევე დაინტერესდა იმით, თუ როდის დაიწყება და დასრულდება ზემოაღნიშნული სამუშაოები.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** აღნიშნა, რომ წინა ცვლილების ხარჯზე დაფინანსდა ჟორდანიას სახელობის სტადიონის რეაბილიტაცია, ახლა ფინანსდება დუნდუას სახელობის სტადიონის რეაბილიტაცია. რაც შეეხება მესამე სტადიონის რეაბილიტაციას, ჯერ-ჯერობით უცნობია როდის მოხერხდება. მან აქვე განმარტა, რომ ჟორდანიას სახელობის სტადიონზე სარეაბილიტაციო სამუშაოები

დღე-დღეზე დაიწყება, შემდეგი იქნება დუნდუას სახელობის სტადიონი და ორივე სტადიონის რეაბილიტაცია მიმდინარე წელს დასრულდება.

საკრებულოს წევრმა **ციცო ურუშაძემ** აღნიშნა, რომ სტადიონების რეაბილიტაციისთვის გამოინახა სახსრები და იმ შუამავშვების ტრანსპორტირებისთვის, რომელთაც სოციალური მომსახურების სააგენტომ ადგილობრივი სოციალური სამსახურის მიმართვის საფუძველზე დაუფინანსა სარეაბილიტაციო კურსი, ორი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ვერ მოიძებნა 7 000 ლარი, მიუხედავად მის მიერ საკრებულოს სხდომებზე, მუნიციპალიტეტის მერთან შეხვედრებზე, მერიის სოციალურ სამსახურში მიმართვისა და სხვა მრავალი მცდელობის მიუხედავად. მან აქვე დასძინა, რომ სოციალური მომსახურების სააგენტო ახდენს მის მიერ დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს. აქედან გამომდინარე, არასწორია და იქნება გარკვეული უხერხული მომენტი, როცა ტრანსპორტირების დაუფინანსებლობის გამო მუნიციპალიტეტი ვერ უზრუნველყოფს ბენეფიციარი ბავშვების რეაბილიტაციის კურსს.

საკრებულოს წევრმა **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამის 10 000 ლარით გაზრდა ვერ იქნება საკმარისი, რადგან ბენეფიციართა მომართვიანობა მედიკამენტების შესაძენად საჭირო თანხაზე ყოველდღიურად მატულობს.

საკრებულოს ფრაქცია „ძალა ერთობაშია“-ს თავმჯდომარემ, **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ წამლების ფასი აფთიაქებში ყოველდღიურად იმატებს და ზემოხსენებული პროგრამის დაფინანსება 100 000 ლარითაც რომ გაიზარდოს, მაინც არ იქნება საკმარისი ყველა ბენეფიციარის დასაკმაყოფილებლად. მან იქვე დააკონკრეტა, რომ ჯანმრთელობა იწყება სპორტით და სტადიონების რეაბილიტაცია ხელს უწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესს.

საკრებულოს წევრმა **ამირან გიგინეიშვილმა** აღნიშნა, რომ უპრიანი იქნებოდა ამ კითხვებზე პასუხი გაეცა არა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს, არამედ მუნიციპალიტეტის მერს.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ ბიუჯეტში რა თანხების რესურსიც არის, ის უნდა განაწილდეს პრიორიტეტების მიხედვით, ხოლო რაც შეეხება სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამას, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გათვალისწინებით, ამ მიზნით მაქსიმალური თანხაა მიმართული. მან იქვე აღნიშნა, რომ თანხები იმ ბავშვების ტრანსპორტირებისთვის, რომელთაც დაუფინანსდათ სარეაბილიტაციო კურსი, სოციალური სამსახურის მიერ წლის დასაწყისში შემუშავებულ პროგრამაში უნდა ყოფილიყო განსაზღვრული პრიორიტეტულად. მან ასევე განმარტა, რომ ამ ეტაპზე შესაძლებელია უკვე გამოყოფილი ფინანსების მხოლოდ მუხლიდან მუხლში, შიდა გადაადგილება და არა ახალი პროექტის დაფინანსება.

საკრებულოს წევრმა **აკაკი იმნაიშვილმა** აღნიშნა, რომ ის მიესალმება ჟორდანის და დუნდუას სახელობის სტადიონების რეაბილიტაციას, მაგრამ უფრო მნიშვნელოვნად თვლის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაციას, მითუმეტეს მაშინ, როცა გოგონათა ფეხბურთის გუნდმა მიაღწია ასეთ წარმატებას. მან ასევე აღნიშნა, რომ გოგონათა ფეხბურთის გუნდის დასაჯილდოვებლად 3000 ლარი არ არის საკმარისი.

საკრებულოს წევრმა იოსებ ჩხაიძემ აღნიშნა, რომ ის მომხრეა თუ მოხდება მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია, მაგრამ აქვე დაინტერესდა, რატომ შეწყდა ამ სტადიონის მშენებლობა მაშინ, როცა არსებობს პროექტიც და ხელშეკრულებებიც.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ჩახვამემ აღნიშნა, რომ კანონის მიხედვით, ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გამოყოფილი თანხები ვერ მოხმარდება სოციალურ პროგრამებს, ხოლო რაც შეეხება მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაციას, მას აქვს კულუარული ინფორმაცია, რომ „ქართუ“ ბანკი აპირებს ამ სტადიონის რეაბილიტაციას.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ ვლადიმერ ნანაძემ, კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.  
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.  
მიღებულ იქნა დადგენილება N 16 (27.09.2019)**

**დღის წესრიგის მეხუთე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებამ. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო“-ს შეაფასებინა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, ავტომანქანა („VECTRA 2.0“ ჰეტჩბეკი, სახელმწიფო ნომრით-272, საიდენტიფიკაციო ნომრით VVOL000087K5147214, გამოშვების წელი 1989), რომლიც განკარგვის მიზნით, მიზანშეწონილია მისი შეტანა მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების საპრივატიზებო ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმაში. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ი“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს წარუდგენს დასამტკიცებლად მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ ვლადიმერ ნანაძემ, კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.  
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.  
მიღებულ იქნა განკარგულება N 53 (27.09.2019)**

**დღის წესრიგის მეექვსე საკითხი:** „სოფელ გრიგოლეთის მდგრადი განვითარების სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს წევრმა **ამირან გიგინეიშვილმა**. მან განაცხადა, რომ „სანაპირო სოფელ გრიგოლეთის 2019-2023 წლების მდგრადი განვითარების ინტეგრირებული გეგმა“ შემუშავდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სამუშაო ჯგუფის მიერ ადგილობრივი მოსახლეობისა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. მან მადლობა გადაუხადა საკრებულოს ბიუროს წევრებს, რომლებიც სამუშაო ჯგუფის წევრები არიან, პროფესორს - შუქრი თავართქილაძეს და შავი ზღვის საერთაშორისო კომისიის სანაპიროს ინტეგრირებული მართვის წარმომადგენელს საქართველოში-მამუკა გვილაფას.

საკრებულოს წევრმა **ამირან გიგინეიშვილმა** აღნიშნა, რომ საქართველოში, გურიის რეგიონის სანაპიროზე მდებარე გრიგოლეთის თემის (სუფსის ადმინისტრაციული ერთეული, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი) სტრატეგიული გეგმის შემუშავებელმა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაო ჯგუფმა წინამდებარე გეგმის ჩამოყალიბება 2019 წლის მაისში დაიწყო ექსპერტებისა და დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერით. ჩატარდა თემის სოციალური გამოკითხვა იმის დასადგენად, თუ ვინ ცხოვრობს ამჟამად გრიგოლეთში, როგორია საცხოვრებელი პირობები, შემოსავლის ტიპური წყაროები და როგორ აღიქვამს მოსახლეობა საკუთარი ცხოვრების სტილს და სამომავლო შესაძლებლობებს. ამავე დროს შეგროვდა, გაანალიზდა და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემის (გ.ი.ს.) რუკების დახმარებით თვალსაჩინოდ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია მიწათსარგებლობის და ეკოლოგიურად მნიშვნელოვანი ადგილების შესახებ.

გეგმის შემუშავების ფარგლებში გარდა სამუშაო ჯგუფის შეხვედრებისა, ჩატარდა ასევე ფოკუს ჯგუფები, სადაც თემის ოცამდე წარმომადგენელმა და გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა (მუნიციპალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა, პედაგოგებმა, ფერმერებმა თუ ბიზნესმენებმა) იმსჯელა გრიგოლეთის მომავალთან დაკავშირებით მათი ხედვისა თუ მოსაზრებების შესახებ. ამ ძალზე ინტერაქტიულ შეხვედრაზე ჩამოყალიბდა ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი, სამომავლო განვითარების ხედვის და პრიორიტეტული მიზნების ჩამონათვალი. სამომავლო გეგმებში, სხვა ქმედებათა შორის, ხაზგასმით აღინიშნა ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების და მუნიციპალური (სათემო) ინფრასტრუქტურით უკეთესი უზრუნველყოფის აუცილებლობა. ცხადი გახდა, რომ სოფლის მოსახლეობა კარგად აცნობიერებს არსებულ სირთულეებს და იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც აუცილებელია სანაპიროს ამ რეგიონში ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, ტურისტული პოტენციალის ასამაღლებლად.

აღნიშნულ პროექტში დეტალურად გაწერილია სამოქმედო გეგმა და ჩამოყალიბებულია მიმართულებები. სტრატეგიულ გეგმაში მოცემულია ასევე სამომავლო პერსპექტიული ხედვა. გეგმის მიხედვით, 2023 წლისთვის გრიგოლეთი გადაიქცევა მიმზიდველ საერთაშორისო რანგის სამკურნალო-გამაჯანსაღებელ კურორტად, სადაც კმაყოფილი მოქალაქეები იცხოვრებენ. იქნება კარგი მუნიციპალური (კომუნალური) ინფრასტრუქტურა, მეტი პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე ადგილობრივი მოსახლეობა, სტანდარტის შესაბამისი ტურისტული ობიექტები და მაღალი კონკურენტუნარიანობით გამორჩეული საინვესტიციო გარემო.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ ვლადიმერ ნანაძემ, კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი.

მომხრე საკრებულოს 25 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N 54 (27.09.2019)

**სხვადასხვა საკითხები:**

საკრებულოს წევრმა ელისო ჭიჭინაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს საკუთრებაში არსებული ფოტოაპარატი გამოსულია მწყობრიდან და ახლის შესაძენად საჭიროა თანხების მობილიზება, რისთვისაც საკრებულოს წევრებისგან ითხოვა მხარდაჭერა.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ვლადიმერ ნანაძე










სხდომის თავმჯდომარე  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დეპუტატთა დასწრების  
სარეგისტრაციო ფურცელი

27 სექტემბერი 2019 წელი

11.00 საათი

| №  | სახელი, გვარი       | გამოცხადების დრო | ხელმოწერა |
|----|---------------------|------------------|-----------|
| 1  | ბესიკ ტაბიძე        | მივლითა          |           |
| 2  | ვლადიმერ ნანაძე     | 10:55            |           |
| 3  | ვერიკო კვიციანი     | 10:15            |           |
| 4  | ალექსანდრე მახათაძე | 10:15            |           |
| 5  | გიორგი ჩახვაძე      | 10:55            |           |
| 6  | გიორგი გვარჯალაძე   | 10:15            |           |
| 7  | ემზარ თევდორაძე     |                  |           |
| 8  | ბესიკ კუპრაძე       | მივლითა          |           |
| 9  | გოგი მორჩილაძე      | 11:07            |           |
| 10 | სპარტაკ კვაჭაძე     | 10:58            |           |
| 11 | კახაბერ ასკურავა    | 11:00            |           |
| 12 | ზაზა წულაძე         | 11:00            |           |
| 13 | კახა ბოლქვაძე       | 10:55            |           |
| 14 | ციცილო ჩხაიძე       | 10:57            |           |
| 15 | კარლო კვიციანი      | 10:55            |           |
| 16 | ზურაბ კუკულავა      | 10:55            |           |
| 17 | იოსებ ჩხაიძე        | 10:55            |           |
| 18 | ოთარ პატიეშვილი     | 10:46            |           |
| 19 | ელისო ჭიჭინაძე      | 10:15            |           |
| 20 | ამირან ქანთარია     | 10:50            |           |
| 21 | დავით ჩხარტიშვილი   |                  |           |
| 22 | აკაკი იმნაიშვილი    | 11:08            |           |
| 23 | ზაალ სანაძე         | 10:50            |           |

|    |                     |      |   |
|----|---------------------|------|---|
| 24 | რევაზ კვერენჩილაძე  | 1055 |  |
| 25 | ლელა ჩახვაძე        |      |   |
| 26 | ამირან გიგინეიშვილი | 1055 |  |
| 27 | ირაკლი მარშანიშვილი | 1055 |  |
| 28 | ცისანა ურუშაძე      | 1055 |  |
| 29 | გოდერძი ქურიძე      |      |   |
| 30 | კახა თედორაძე       | 1055 |  |
| 31 | რეზო კვაჭაძე        | 1055 |  |
| 32 | ვენე კვიციანი       | 1055 |  |